



ბანათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა
უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საბაკალავრო პროგრამა
კომპიუტერული მეცნიერება

საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

შეფასების თარიღ(ებ)ი: 18-19 თებერვალი 2021

დასკვნის წარდგენის თარიღი: 21 აპრილი 2021

თბილისი

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ¹

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მიითითებით	ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	245428158
დაწესებულების სახე	საჯარო სამართლის იურიდიული პირი

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	კომპიუტერული მეცნიერება Computer Science
უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია ²	კომპიუტერული მეცნიერების ბაკალავრი Bachelor of Computer Science
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	პროგრამული უზრუნველყოფისა და აპლიკაციების განვითარება და ანალიზი 0613
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მიითითება (მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო- სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში)	-
სწავლების ენა	ქართული
ECTS კრედიტების რაოდენობა	240
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მიითითებით (ნომერი, თარიღი)	აკრედიტებული

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	მანანა ხაჩიძე - ივ.ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
--	--

¹ ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: მიეთითება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებები; „დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდის“ და „დაწესებულების სახის“ მიითითება არ არის სავალდებულო უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებ(ებ)ისათვის

² უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თუ განსხვავდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება, მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულებების მიხედვით

წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	მარინე ხიზანიშვილი - კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	მიხეილ რუხაია - თსუ გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტი
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ბაქარ დუაძე - ივ.ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემადგამელი დასკვნა

▪ ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

რეაკრედიტაციის მოპოვების მიზნით წარმოდგენილი საბაკალავრო პროგრამა სახელწოდებით „კომპიუტერული მეცნიერება“, არის ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში 2006 წლიდან მოქმედი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის „კომპიუტერული ტექნოლოგიები“ განახლებული ვარიანტი, რომელმაც პირველი ძირეული ცვლილება განიცადა 2011 წელს, შეეცვალა სახელი „კომპიუტინგი“ და მოიპოვა აკრედიტაცია. „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს“ ახალი რედაქციის დამტკიცების შემდგომ პროგრამამ კვლავ განიცადა გარკვეული ცვლილებები და ბსუ-ს აკადემიური საბჭოს დადგენილებით #88 24.10.2016 პროგრამის დასახელებად განისაზღვრა „კომპიუტერული მეცნიერებები“.

რეაკრედიტაციისათვის მზადების პროცესში აღნიშნულმა პროგრამამ განიცადა რიგი შინაარსობრივი ცვლილებები (მოხდა საგნების ჩანაცვლება), შეიცვალა პროგრამის მიზნები და შედეგები, შეიცვალა მისანიჭებელი კვალიფიკაცია ახალი ეროვნული კვალიფიკაციის ჩარჩოს შესაბამისად. ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ 2020 წლის 6 აგვისტოს №06-01/54 დადგენილებით დამტკიცდა საგანმანათლებლო პროგრამა „სახელწოდებით „კომპიუტერული მეცნიერება“, მისანიჭებელი კვალიფიკაცია „კომპიუტერული მეცნიერების ბაკალავრი“.

საბაკალავრო პროგრამა განახლებული სახელწოდებით წარდგენილია შემდეგი ფორმით: საბაკალავრო პროგრამა აგებულია ECTS სისტემის საფუძველზე; პროგრამის ხანგრძლივობაა 4 აკადემიური წელი (8 სემესტრი). პროგრამის მოცულობაა 240 კრედიტი. 1 კრედიტი მოიცავს 25 საათს.

პროგრამის კრედიტების მოცულობა შემდეგნაირადაა განაწილებული: სპეციალობის სავალდებულო კურსები - 160 კრედიტი, სპეციალობის არჩევითი კურსები - 20 კრედიტი, დამატებითი სპეციალობის/თავისუფალი კომპონენტები - 60 კრედიტი.

▪ აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა

პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით, განათლების ხარისხის განვითარების ცენტრის მიერ შეირჩა ამავე დარგის ორი პროფესორი, ერთი დამსაქმებელი და ერთი სტუდენტი, რომელთა უნივერსიტეტში „ვირტუალური“ ვიზიტი განხორციელდა 2021 წლის 18-19 თებერვალს Zoom პლატფორმის საშუალებით (განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 28 იანვრის N 5 21 0000035766 ბრძანება აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შექმნისა და ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში). ჯგუფის მოსამზადებელი შეხვედრა განხორციელდა 2021

წლის 15 თებერვალს - მოხდა პროგრამის შეფასებასთან დაკავშირებულ საკითხებზე შეჯერება.

2021 წლის 18-19 თებერვალს ვიზიტი წარიმართა წინასწარ შეთანხმებული გრაფიკის მიხედვით Online რეჟიმში. გაიმართა შეხვედრები: უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან; თვითშეფასების ჯგუფთან; პროგრამის ხელმძღვანელთან, აკადემიურ პერსონალთან; მოწვეულ ლექტორებთან; სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან; დამსაქმებლებთან. ასევე Online რეჟიმში ვიდეოჩართვით განხორციელდა მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დათვალიერება: ბიბლიოთეკა, კომპიუტერული ლაბორატორიები, აუდიტორიები.

ვიზიტის დასასრულს დაწესებულების წარმომადგენლებს წარედგინათ ვიზიტის ფარგლებში გამოკვეთილი ძირითადი მიგნებები.

სამუშაო შეხვედრა მიმდინარეობდა მშვიდ გარემოში, კონსტრუქციული დიალოგით და მსჯელობით კონკრეტულ საკითხებთან მიმართებაში. ექსპერტთა ჯგუფს საშუალება ჰქონდა შეეფასებინა პროგრამა თითოეული სტანდარტის მიხედვით.

- საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა

საგანმანათლებლო პროგრამა მეტწილად შეესაბამება პირველ სტანდარტს, რადგან:

- ქვესტანდარტი 1.1 პროგრამის მიზნები

პროგრამის მიზნებში - პროგრამის მისანიჭებელი კვალიფიკაცია განსაზღვრულია სწავლების სფეროს კლასიფიკატორში მოცემული დეტალური სფეროს „პროგრამული უზრუნველყოფისა და აპლიკაციების განვითარება და ანალიზი 0613“ შესაბამისად და სახელწოდებაში ასახულია მისანიჭებელი კვალიფიკაცია „კომპიუტერული მეცნიერება“. **სწავლის სფეროების კლასიფიკატორის** თანახმად (მუხლი 6. პუნქტი.1) „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება განისაზღვრება პროგრამის მიზნების შესაბამისად...“, თუმცა წარმოდგენილი პროგრამის შემთხვევაში მიზნების აქცენტები კეთდება ინფორმაციულ ტექნოლოგიებსა და ინფორმაციულ სისტემებზე, რომლებიც სხვა მომიჯნავე კვალიფიკაციაა. არაა გამოკვეთილი კომპიუტერული მეცნიერების ცოდნის არეები - ალგორითმები, დაპროგრამების ენები და სხვ.

- ქვესტანდარტი 1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

სწავლის შედეგების შეფასებისათვის უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს დოკუმენტი „ბსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა“, რომელმაც უნდა უზრუნველყოს სწავლის შედეგების შეფასება. სწავლის შედეგების შეფასება ეფუძნება სხვადასხვა გამოკითხვებს და სტუდენტთა აკადემიური მოსწრების კვლევას სტატისტიკური ანალიზის საფუძველზე. დოკუმენტი ზოგადი ხასიათისაა და არაა განსაზღვრული სამიზნე ნიშნულების დადგენის და შეფასების მექანიზმი პროგრამის ან/და საგნის სწავლის შედეგებთან მიმართებაში. წარმოდგენილ მასალებში მოცემულია ერთი სასწავლო წლის შესაბამისი საგნების აკადემიური მოსწრების სტატისტიკა, მაგრამ არაა გაანალიზებული რა ინფორმაციაა ამის საფუძველზე მიღებული - დამაკმაყოფილებელია თუ არა შედეგი, რა ქმედებები უნდა განხორციელდეს (ან არ უნდა განხორციელდეს) და როდის პროგრამის გასაუმჯობესებლად.

თვითშეფასებაში მოცემულია ზოგადი ჩანაწერი „დაინტერესებულ მხარეთა გამოკითხვის შედეგების ანალიზის საფუძველზე (რას გულისხმობს ანალიზი?) პროგრამის გუნდი (პროგრამის ხელმძღვანელები, განმახორციელებელი პერსონალი, ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური და კურიკულუმის კომიტეტი) ახდენს პროგრამის შეფასებას (როგორ?) და საგანმანათლებლო პროგრამის/ ცალკეული სასწავლო კურსის განვითარების მიზნით გეგმავს ცვლილებებს (რის საფუძველზე?) (სასწავლო კურსების ჩანაცვლება ან/და არჩევითი სასწავლო კურსების დამატება,

წინაპირობების, კურსების თანმიმდევრობის, სწავლა-სწავლებისა და შეფასების მეთოდების გადახედვა, სასწავლო მასალების და ლიტერატურის განახლება, ცვლილებები საკონსულტაციო სერვისებში, რომლებიც განიხილება დარგობრივ დეპარტამენტში, ფაკულტეტის საბჭოსა და უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს სხდომებზე“.

საგანმანათლებლო პროგრამა მეტწილად შეესაბამება **მეორე სტანდარტს**, რადგან:

ქვესტანდარტი 2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები

პროგრამაზე დაშვების პირობებში მოცემულია ზოგადი ჩანაწერი და მოიცავს ინფორმაციას უნივერსიტეტში მოქმედი წესების შესახებ, თუმცა აღნიშნული დოკუმენტები (სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი, უნივერსიტეტის წესდება) არ შეიცავს ჩანაწერს სტუდენტის სტატუსის მოპოვების წესის შესახებ (https://bsu.edu.ge/text_files/ge_file_4958_1.pdf). ავტორიზაციის 5.1. სტანდარტის შესაბამისად „უსდ-ს თითოეული საგანმანათლებლო საფეხურისათვის შემუშავებული აქვს სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის, კვალიფიკაციის მინიჭების, საგანმანათლებლო დოკუმენტის გაცემის, ასევე სწავლის პერიოდში მიღებული განათლების აღიარების წესები“.

ქვესტანდარტი 2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი, რომელიც პროგრამის ავტორების თქმით საერთაშორისო დარგობრივი ორგანიზაციების ACM (Association Computing Machinery) და IEEE-Computer Society ერთობლივი დოკუმენტის „Curriculum Guidelines for Undergraduate Degree Programs in Computer Science“ რეკომენდაციების გაზიარებით შემუშავდა, ძირითად საგანთა ნუსხაში არ მოიცავს რიგ დისციპლინებს კომპიუტერული მეცნიერების სავალდებულო ცოდნის არეებიდან (ამავე დოკუმენტში გაწერილი საკითხების გათვალისწინებით და არა მხოლოდ სათაურების მორგებით) როგორცაა: დისკრეტული სტრუქტურები, ინტელექტუალური სისტემები, ინფორმაციის უსაფრთხოება, პროგრამული უზრუნველყოფის ინჟინერია და სხვა შესაბამისი საგნები.

საგანმანათლებლო პროგრამა სრულად შეესაბამება **მესამე სტანდარტს**.

საგანმანათლებლო პროგრამა სრულად შეესაბამება **მეოთხე სტანდარტს**.

საგანმანათლებლო პროგრამა მეტწილად შეესაბამება **მეხუთე სტანდარტს**, რადგან

ქვესტანდარტი 5.1. შიდა ხარისხის შეფასება

შიდა ხარისხის შეფასებაში არაა მკაფიოდ ჩამოყალიბებული უშუალოდ პროგრამაში ჩართული პერსონალის კონკრეტული ქმედებები/პროცედურები სწავლის შედეგების მიღწევადობის შეფასებებში (აკადემიური მოსწრების შეფასება არ გულისხმობს სწავლის შედეგების მიღწევადობის შეფასებას). არაა განსაზღვრული როგორ უნდა მოხდეს თითოეულ საგანში სწავლის შედეგების მიღწევადობის სამიზნე ნიშნულის განსაზღვრა, მისი შეფასება და პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევადობის სამიზნე ნიშნულებში მისი წილის განსაზღვრა. ასევე არაა აღწერილი თუ როგორ უნდა მოხდეს შეფასების შედეგების გამოყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

ქვესტანდარტი 5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება

პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასებაში მიუხედავად იმისა, რომ მონიტორინგი რეგულარულ ხასიათს ატარებს, ბუნდოვანია სწავლის შედეგების

შეფასების სრულყოფილი მექანიზმის არ არსებობის შემთხვევაში როგორ ხდება მონიტორინგის შედეგების ანალიზი და რას დარდება მიღებული შედეგები.

▪ რეკომენდაციები

1. მზინების აღწერაში გაძლიერდეს აქცენტი კომპიუტერული მეცნიერების ფუნდამენტურ ცოდნის არეებზე;
2. შემუშავდეს მკვეთრად გაწერილი სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი, რომელიც უნდა მოიცავდეს: მიღწევადობის სამიზნე ნიშნულებს სწავლის თითოეული შედეგისათვის და ჯამურად პროგრამისათვის. სწავლის შედეგების რუკის შესაბამისად უნდა განისაზღვროს შესაბამისი საგნის სწავლის შედეგის სამიზნე ნიშნული, საგნის შეფასების რომელი კომპონენტით ფასდება კონკრეტული სწავლის შედეგი და ა.შ. ;
3. უნივერსიტეტის შესაბამის დებულებებში ჩაიწეროს სტუდენტის სტატუსის მოპოვებს მკაფიოდ წესი;
4. დეტალურად გაიწეროს პროგრამაზე დაშვების წინაპირობა;
5. ძირითად საგანთა ნუსხაში დაემატოს დისციპლინები კომპიუტერული მეცნიერების ცოდნის არეებიდან დისკრეტული სტრუქტურები ინტელექტუალური სისტემების, ინფორმაციის უსაფრთხოების, პროგრამული უზრუნველყოფის ინჟინერიის და სხვა შესაბამისი საგნები;
6. საგნები “ინფორმაციის მენეჯმენტი I” და “ინფორმაციის მენეჯმენტი II” გაერთიანდეს საგნად „მონაცემთა ბაზების მართვის სისტემები“, გადავიდეს არჩევით ბლოკში,
7. საგანი „მონაცემთა ბაზები“, გადმონაცვლდეს ძირითად საგნების ნუსხაში;
8. მოხდეს საგნების „კომპიუტერის არქიტექტურა I“ და „კომპიუტერის არქიტექტურა II“ გაერთიანება;
9. გადანაცვლდეს საგანი „კომპიუტერული მოდელირების სისტემა MathCad“ არჩევით საგანთა ნუსხაში;
10. დაემატოს მათემატიკური საგნების ბლოკს საგანი „დისკრეტული მათემატიკა“ ან „დისკრეტული სტრუქტურები“;
11. შემუშავდეს პროგრამაში ჩართული პერსონალის ხარისხის შეფასების პროცესში მონაწილეობის პროცედურა/წესი - როგორ, რითი და რა სიხშირით განსაზღვრავს სწავლის შედეგის მიღწევადობას კონკრეტულ საგანში, რის საფუძველზე გეგმავს ცვლილებებს, როგორ ახდენს ცვლილებების ინიცირებას და ა.შ.;
12. შემუშავდეს სწავლის შედეგების შეფასებაში მონიტორინგის შედეგების გათვალისწინების მექანიზმი.

▪ რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- მეტი ყურადღება დაეთმოს სტუდენტთა ინფორმირებულობას გაცვლითი პროგრამების დადებითი მხარეების, მისი მნიშვნელობის გასაცნობად,

- გაიზარდოს აგიტაცია გაცვლით პროგრამებით უფრო მეტი სტუდენტის დასაინტერესებლად და მათში მონაწილეობის მისაღებად.
- საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)
- ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

1.1 პროგრამის მიზნები

პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული და რა წვლილი შეაქვს სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამის - „კომპიუტერული მეცნიერება“ მიზნები წარმოდგენილია 4 პუნქტის სახით:

ა) მოამზადოს კომპიუტერული მეცნიერების ბაკალავრი, რომელსაც ექნება ფართო თეორიული და პრაქტიკული ცოდნა პროგრამული უზრუნველყოფის და აპლიკაციების განვითარებასა და ანალიზში, მონაცემთა ბაზებისა და ქსელების დიზაინსა და ადმინისტრირებაში;

ბ) კურსდამთავრებულს გამოუმუშაოს და განუვითაროს უნარ-ჩვევები, რომელთა გამოყენება შესაძლებელია, როგორც სამეცნიერო-კვლევით, ასევე ბიზნეს გარემოში კომპლექსური საინფორმაციო სისტემების შექმნის, მართვის და ყოველდღიურ საქმიანობაში წარმოქმნილი ამოცანების გაგების, ანალიზის, შეფასებისა და გადაწყვეტისათვის;

გ) მოამზადოს ცვალებად პროფესიულ გარემოსთან ადვილად ადაპტირებადი, კონკურენტუნარიანი, მაღალკვალიფიციური, პასუხისმგებლიანი სპეციალისტი, რომელსაც ექნება პროცესების მოდელირების, პროგრამული უზრუნველყოფის შექმნის, წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად კვლევითი ან პრაქტიკული ხასიათის პროექტის/ნაშრომის განხორციელების უნარი;

დ) ხელი შეუწყოს მაღალი მოქალაქეობრივი შეგნებისა და აქტივობის, ეროვნული და ზოგადსაკაცოებრიო ღირებულებების მატარებელი, ჰუმანიზმის, დემოკრატიის პრინციპების ერთგული თავისუფალი პიროვნების ჩამოყალიბებას, რომელიც შეძლებს შრომით ბაზარზე დამკვიდრებას.

პროგრამის მისანიჭებელი კვალიფიკაცია განსაზღვრულია სწავლების სფეროს კლასიფიკატორში მოცემული დეტალური სფეროს „პროგრამული უზრუნველყოფისა და აპლიკაციების განვითარება და ანალიზი 0613“ შესაბამისად და სახელწოდებაში ასახულია მისანიჭებელი კვალიფიკაცია „კომპიუტერული მეცნიერება“. **სწავლის სფეროების კლასიფიკატორის** თანახმად (**მუხლი 6. პუნქტი.1**) „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება განისაზღვრება პროგრამის მიზნების შესაბამისად...“, თუმცა წარმოდგენილი პროგრამის შემთხვევაში მიზნების აქცენტები კეთდება ინფორმაციულ ტექნოლოგიებსა და ინფორმაციულ სისტემებზე, რომლებიც სხვა მომიჯნავე კვალიფიკაციაა. არაა გამოკვეთილი კომპიუტერული მეცნიერების ცოდნის არეები - ალგორითმები, დაპროგრამების ენები და სხვ.

ადგილობრივი ბაზრის და უნივერსიტეტის მისიის და სტრატეგიული განვითარების გათვალისწინებით, კურსდამთავრებული შეძლებს გარკვეული წვლილის შეტანას

რეგიონის განვითარებაში.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ საგანმანათლებლო პროგრამა ○ უნივერსიტეტის მისია https://www.bsu.edu.ge/main/page/2-416/index.html ○ უნივერსიტეტის 2018-2024 წლების სტრატეგიული განვითარების გეგმა https://bsu.edu.ge/text_files/ge_file_60_1.pdf
რეკომენდაციები: ○ მზინების აღწერაში გაძლიერდეს აქცენტი კომპიუტერული მეცნიერების ფუნდამენტურ ცოდნის არეებზე
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის ○ არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება ○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები
➤ პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას; ➤ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს;

- შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამის სწავლის შედეგები წარმოდგენილია სამი ჯგუფის სახით და აღწერს პროგრამის მიზნების შესაბამის შედეგებს:

ცოდნა და გაცნობიერება

- 1.1 აქვს პროგრამული უზრუნველყოფის, აპლიკაციების განვითარების და ანალიზის, მონაცემთა ბაზების, ქსელების დიზაინისა და ადმინისტრირებისთვის დამახასიათებელი ძირითადი ფაქტების, პრინციპების და ზოგადი კონცეფციების ფართო ცოდნა;
- 1.2 იცის ალგორითმების შედგენის პრინციპები, მონაცემთა სტრუქტურული ანალიზისა და მოდელირების ძირითადი მეთოდები, თანამედროვე დაპროგრამების ენები, მათი თავისებურებები და გამოყენების სფეროები; კომპიუტერული ქსელის აგებისა და ფუნქციონირების, სხვადასხვა დონის მონაცემთა ბაზების არქიტექტურის დაპროექტების, მართვის, საინფორმაციო უსაფრთხოების, შესაბამისი ინსტრუმენტული საშუალებებისა და ოპტიმიზაციის მეთოდების ძირითადი საფუძვლები;
- 1.3 ფლობს კომპიუტერის თანამედროვე აპარატული საშუალებების და პროგრამული უზრუნველყოფის ფუნქციონირების, მრავალკომპონენტიანი კლიენტ-სერვერული სტრუქტურების აგებისა და მართვის, მათემატიკური მოდელირების და გამოთვლების მეთოდების შესაბამისი ალგორითმების კომპიუტერული რეალიზაციის პრინციპებს;
- 1.4 შესწავლილი ძირითადი თეორიებისა და პრინციპების კრიტიკული გააზრების საფუძველზე აცნობიერებს გადასაწყვეტი პრობლემის გადაჭრის ოპტიმალური გზების შერჩევასა და ანალიზში კომპიუტერული ტექნოლოგიების როლს.

უნარი

- 2.1 ტექნიკური დავალების რეალიზაციის პროცესში წარმოქმნილი რთული და გაუთვალისწინებელი პრობლემების გადაჭრისათვის შეძლებს შესაბამისი მათემატიკური და ალგორითმული მოდელის შექმნას, საინფორმაციო სისტემების არქიტექტურის დაპროექტებას, სპეციფიკაციის შედგენასა და რეალიზაციას;
- 2.2 წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად შეუძლია მოახდინოს არსებული საინფორმაციო სისტემების ანალიზი და მათი თვისობრივი მახასიათებლების შეფასება, კონკრეტული ამოცანის ამოხსნის შესაძლო გზების მოძებნა;
- 2.3 შეუძლია კომპიუტერული მეცნიერების დარგისთვის დამახასიათებელი მონაცემების შეგროვება და ანალიზი, სათანადო დასკვნების ჩამოყალიბება და გაზიარება სპეციალისტებისა და არასპეციალისტებისათვის, კონტექსტის შესაბამისი ფორმით;
- 2.4 აქვს უნარი მონაწილეობა მიიღოს საინფორმაციო სისტემების შექმნასა და მომსახურებაში, ეთიკური ნორმების გათვალისწინებით განახორციელოს კვლევითი ან პრაქტიკული ხასიათის პროექტი/ნაშრომი წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად.

პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა

- 3.1 დინამიურად ცვალებად გარემოში, თანამედროვე ინფორმაციულ ტექნოლოგიებზე დაფუძნებული სისტემების მუშაობის პროცესში ახდენს წარმოქმნილი პრობლემების იდენტიფიცირებას, პროფესიასთან დაკავშირებული ახალი ინფორმაციის მოძიებას, გარჩევას და შესწავლას.
- 3.2 დამოუკიდებლობის მაღალი ხარისხით აანალიზებს, აფასებს, გეგმავს და წარმართავს საკუთარი უწყვეტი პროფესიული განვითარების პროცესს.
- 3.3 ხელს უწყობს საინფორმაციო ტექნოლოგიების სფეროში დამკვიდრებული ეთიკური ნორმების განხორციელებას და საინფორმაციო უსაფრთხოების წესების დაცვას, უფრთხილდება ჩამოყალიბებულ ღირებულებებს.

მსგავსად პროგრამის მიზნებისა შედეგებში აქცენტირება კეთდება მომიჯნავე კვალიფიკაციისათვის მნიშვნელოვან სწავლის შედეგებზე და პრიორიტეტებიც შესაბამისადაა გადანაწილებული პროგრამაში. მიუხედავად იმისა, რომ ისინი აღწერენ იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი შეიძენს პროგრამის დასრულებისას, კომპიუტერული მეცნიერების ბაკალავრის კვალიფიკაციასთან მიმართებაში საჭიროებს უფრო მეტ ხაზგასმას ალგორითმების, დაპროგრამების, ინტელექტუალური სისტემების და სხვა. ცოდნის არეების მხრივ.

უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს დოკუმენტი „ბსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა“ რომელმაც უნდა უზრუნველყოს სწავლის შედეგების შეფასება. სწავლის შედეგების შეფასება ეფუძნება სხვადასხვა გამოკითხვებს და სტუდენტთა აკადემიური მოსწრების კვლევას სტატისტიკური ანალიზის საფუძველზე. დოკუმენტი ზოგადი ხასიათისაა და არაა განსაზღვრული სამიზნე ნიშნულების დადგენის და შეფასების მექანიზმი პროგრამის ან/და საგნის სწავლის შედეგებთან მიმართებაში. წარმოდგენილ მასალებში მოცემულია ერთი სასწავლო წლის შესაბამისი საგნების აკადემიური მოსწრების სტატისტიკა, მაგრამ არაა გაანალიზებული რა ინფორმაციაა ამის საფუძველზე მიღებული - დამაკმაყოფილებელია თუ არა შედეგი, რა ქმედებები უნდა განხორციელდეს (ან არ უნდა განხორციელდეს) და როდის პროგრამის გასაუმჯობესებლად.

თვითშეფასებაში მოცემულია ზოგადი ჩანაწერი “დაინტერესებულ მხარეთა გამოკითხვის შედეგების ანალიზის საფუძველზე (რას გულისხმობს ანალიზი?) პროგრამის გუნდი (პროგრამის ხელმძღვანელები, განმახორციელებელი პერსონალი, ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური და კურიკულუმის კომიტეტი) ახდენს პროგრამის შეფასებას (როგორ?) და საგანმანათლებლო პროგრამის/ ცალკეული სასწავლო კურსის განვითარების მიზნით გეგმავს ცვლილებებს (რის საფუძველზე?) (სასწავლო კურსების ჩანაცვლება ან/და არჩევითი სასწავლო კურსების დამატება, წინაპირობების, კურსების თანმიმდევრობის, სწავლა-სწავლებისა და შეფასების მეთოდების გადახედვა, სასწავლო მასალების და ლიტერატურის განახლება, ცვლილებები საკონსულტაციო სერვისებში), რომლებიც განიხილება დარგობრივ დეპარტამენტში, ფაკულტეტის საბჭოსა და უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს სხდომებზე“.

პროგრამას უნდა ჰქონდეს მკვეთრად გაწერილი სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი, რომელიც უნდა მოიცავდეს: მიღწევადობის სამიზნე ნიშნულებს სწავლის თითოეული შედეგისათვის და ჯამურად პროგრამისათვის. სწავლის შედეგების რუკის შესაბამისად უნდა განისაზღვროს შესაბამისი საგნის სწავლის შედეგის სამიზნე ნიშნული, საგნის შეფასების რომელი კომპონენტით ფასდება კონკრეტული სწავლის შედეგი და ა.შ.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა
- ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2019 წლის 14 აგვისტოს No06-01/91 დადგენილება

რეკომენდაციები:

- შემუშავდეს სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი პროგრამისათვის დეტალური აღწერით

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
შეფასება ○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა		X		

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები
უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე,

სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამაში არსებული ჩანაწერის თანახმად: „საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის, ბსუ-ს წესდებისა და ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2015 წლის 8 ოქტომბრის №111 დადგენილებით დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის“ შესაბამისად.

სტუდენტის სტატუსის მოპოვების შესახებ ცხადი ჩანაწერი არ არსებობს. არის მხოლოდ ტერმინის განმარტება: „**ბსუ-სტუდენტი** – პირი, რომელიც „უმაღლესი განათლების შესახებ კანონითა და ბსუ-ს წესდებით განსაზღვრული წესით ჩაირიცხა ბსუ-ში ბაკალავრიატის, მაგისტრატურის, მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო, დიპლომირებული მედიკოსის/სტომატოლოგის, დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის გასავლელად, აგრეთვე პირი, რომელიც ჩარიცხულია უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში და რომელიც ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში ასრულებს სასწავლო კომპონენტის ან/და კვლევითი კომპონენტის ნაწილს ბსუ-ში“.

ჩანაწერი ზოგადი სახისაა და მოიცავს ინფორმაციას უნივერსიტეტში მოქმედი წესების შესახებ, რისი მოძიებაც ალბათ შესაძლებელია უნივერსიტეტის ვებ გვერდზე (უნივერსიტეტის ვებ გვერდის სტრუქტურა არ იძლევა იმის საშუალებას, რომ დაინტერესებულმა პირმა ადვილად მოიძიოს ეს დოკუმენტი), თუმცა აღნიშნული დოკუმენტები (სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი, უნივერსიტეტის წესდება) არ შეიცავს მკაფიო ჩანაწერს სტუდენტის სტატუსის მოპოვების წესის შესახებ. ავტორიზაციის 5.1. სტანდარტის შესაბამისადაც „უსდ-ს თითოეული საგანმანათლებლო საფეხურისათვის შემუშავებული აქვს სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის, კვალიფიკაციის მინიჭების, საგანმანათლებლო დოკუმენტის გაცემის, ასევე სწავლის პერიოდში მიღებული განათლების აღიარების წესები“

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა
- ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2015 წლის 8 ოქტომბრის №111 დადგენილება
https://bsu.edu.ge/text_files/ge_file_4958_1.pdf
- უნივერსიტეტის წესდება https://bsu.edu.ge/upload/danarti_1.pdf

რეკომენდაციები:

- უნივერსიტეტის შესაბამის დებულებებში მკაფიოთ ჩაიწეროს სტუდენტის სტატუსის მოპოვების წესი
- დეტალურად გაიწეროს პროგრამაზე დაშვების წინაპირობა

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☒ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ არ არის შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს რიგი დებულებები, რომლებიც აღწერენ საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიას. წარმოდგენილი დოკუმენტების თანახმად პროგრამა შემუშავებულია აღნიშნული წესების დაცვით, თუმცა იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ პროგრამაზე დაშვების წინაპირობა არაა აღწერილი, შეუძლებელია იმის შეფასება რამდენადაა გათვალისწინებული დაშვების წინაპირობები.

პროგრამის მოცულობაა 240 კრედიტი, რომელი განაწილებულია:

- სპეციალობის სავალდებულო კურსები - 160 კრედიტი,
- სპეციალობის არჩევითი კურსები - 20 კრედიტი,
- დამატებითი სპეციალობის/თავისუფალი კომპონენტები - 60 კრედიტი

სპეციალობის სავალდებულო კურსები მოიცავენ დარგობრივ (120 ECTS) და არადარგობრივ დისციპლინებს (20 ECTS მათემატიკური დისციპლინები, 20 ECTS ზოგადი განათლება).

სასწავლო პროგრამის სტრუქტურა ძირითადად უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. ასევე მისანიჭებელი კვალიფიკაცია შეიძლება ჩაითვალოს

შესაბამისობაში პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან თუ განხორციელებს რიგი არჩევითი და ძირითადი საგნების ადგილშენაცვლება, კერძოდ: რადგან პროგრამის სახელწოდებას და მისანიჭებელ კვალიფიკაციას წარმოადგენს „კომპიუტერული მეცნიერება“ და თვითშეფასებაში აღნიშნული აქვთ, რომ „პროგრამის შემუშავების, განვითარებისა და განხორციელების პროცესში მუდმივად ხდებოდა საერთაშორისო დარგობრივი ორგანიზაციების ACM (Association Computing Machinery) და IEEE-Computer Society ერთობლივი დოკუმენტის „Curriculum Guidelines for Undergraduate Degree Programs in Computer Science“ რეკომენდაციების გაზიარება, ამის გათვალისწინებით ძირითად საგანთა ნუსხაში უნდა დაემატოს რიგი დისციპლინები კომპიუტერული მეცნიერების ცოდნის არეებიდან (ამავე დოკუმენტში გაწერილი საკითხების გათვალისწინებით და არა მხოლოდ სათაურების მორგებით) ინტელექტუალური სისტემების, ინფორმაციის უსაფრთხოების, პროგრამული უზრუნველყოფის ინჟინერიის და სხვა შესაბამისი საგნებიც; საგნები „ინფორმაციის მენეჯმენტი I“ (რომელიც MS Access წარმოადგენს) და „ინფორმაციის მენეჯმენტი II“ (რეალურად MS SQL-ია), შესაძლებელია გაერთიანდეს საგნად „მონაცემთა ბაზების მართვის სისტემები“, გადავიდეს არჩევით ბლოკში, ხოლო საგანი „მონაცემთა ბაზები“, გადმონაცვლდეს ძირითად საგნების ნუსხაში; ასევე მოხდეს საგნების „კომპიუტერის არქიტექტურა I“ და „კომპიუტერის არქიტექტურა II“ გაერთიანება; გადანაცვლდეს საგანი „კომპიუტერული მოდელირების სისტემა MathCad“ არჩევით საგანთა ნუსხაში.

ასევე აუცილებელია დაემატოს მათემატიკური საგნების ბლოკს საგანი „დისკრეტული მათემატიკა“ ან „დისკრეტული სტრუქტურები“.

აღსანიშნია, რომ კურსში „დაპროგრამების ენა Java“ წინაპირობად მითითებულია „ობიექტზე ორიენტირებული დაპროგრამება C++“, თუმცა პროგრამაში აღნიშნული სათაურით კურსი წარმოდგენილი არ არის. სავარაუდოდ იგულისხმება „დაპროგრამების საფუძვლები 2“.

ასევე გაუგებარია „Web ტექნოლოგიების“ შედარებით „გვიან“ (V სემესტრი) სწავლება. ეს კურსი არანაირ წინაპირობებს არ საჭიროებს და სასურველია გადმოვიდეს პირველ ან მეორე სემესტრში, ვინაიდან იგი წარმოადგენს რამდენიმე მნიშვნელოვანი კურსის წინაპირობას, რომელთა ათვისებაც სტუდენტმა შესაძლოა „ველარ მოასწროს“.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა
- ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2017 წლის 15 ივნისის №37 დადგენილება „ბსუ-ს აკადემიური უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, შეფასებისა და განვითარების უზრუნველყოფის წესის დამტკიცების შესახებ“;
- ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2019 წლის 14 აგვისტოს №06-01/91 დადგენილება „ბსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დამტკიცების შესახებ“;
- ACM (Association Computing Machinery) და IEEE-Computer Society ერთობლივი დოკუმენტი „Curriculum Guidelines for Undergraduate Degree Programs in Computer Science“ <https://www.acm.org/education/curricula-recommendations>

რეკომენდაციები:

- ძირითად საგანთა ნუსხაში დაემატოს დისციპლინები კომპიუტერული მეცნიერების ცოდნის არეებიდან ინტელექტუალური სისტემების, ინფორმაციის უსაფრთხოების, პროგრამული უზრუნველყოფის ინჟინერიის და სხვა შესაბამისი საგნები;
- საგნები „ინფორმაციის მენეჯმენტი I“ და „ინფორმაციის მენეჯმენტი II“ გაერთიანდეს საგნად „მონაცემთა ბაზების მართვის სისტემები“, გადავიდეს არჩევით ბლოკში,

○ საგანი „მონაცემთა ბაზები“, გადმონაცვლდეს ძირითად საგნების ნუსხაში; ○ მოხდეს საგნების „კომპიუტერის არქიტექტურა I“ და „კომპიუტერის არქიტექტურა II“ გაერთიანება; ○ გადნაცვლდეს საგანი „კომპიუტერული მოდელირების სისტემა MathCad“ არჩევით საგანთა ნუსხაში; ○ დაემატოს მათემატიკური საგნების ბლოკს საგანი „დისკრეტული მათემატიკა“ ან „დისკრეტული სტრუქტურები“.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3. სასწავლო კურსი

- ძირითადი სფეროს თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის/საგნის/მოდულის/კონცენტრაციის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს;
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამაში წარმოდგენილია **შედეგების რუკა**, რომელშიც სწავლის ყოველ შედეგზე შეთანადებულია საგანთა გარკვეული ჯგუფი (როგორც ძირითადი ასევე არჩევითი) მიღწევადობის სხვადასხვა დონით. უმრავლესი სასწავლო კურსები შინაარსით თანადობაში არიან სათაურთან და მათ შესასწავლად გამოყოფილი კრედიტების რაოდენობა შეესაბამება საგნის სწავლის შედეგებს. თუმცა არის რიგი საგნები რომელთა სათაურის, შინაარსის და კრედიტების მოცულობის ურთიერთთანადობაში მოყვანაა საჭირო. კერძოდ:

- საგანში „დაპროგრამების ენა C#“ სასწავლო კურსის საკითხებში დიდი დოზით კეთდება აქცენტი სინტაქსზე (4 კვირა ეთმობა ამორჩევის ოპერატორებს, ციკლებს, მასივებსა და ობიექტ-ორიენტირებადი პროგრამირების პრინციპებს), რაც წინაპირობებში უკვე შესწავლილია და მხოლოდ სპეციფიკური ცვლილებების გაცნობა საკმარისი იქნება სტუდენტებისათვის. კარგი იქნება აღნიშნული თემები გაერთიანდეს ერთ თემაში (ვთქვათ, სინტაქსის თავისებურებები) და გამონთავისუფლებული კვირები დაეთმოს თანამედროვე პროგრამული უზრუნველყოფის შექმნისათვის აუცილებელ ისეთ მნიშვნელოვან თემებს, როგორიცაა Linq ტექნოლოგია, სოკეტები, ვებ სერვისები და სხვა;
- საგანში „სკრიპტული ენა JavaScript“ საერთოდ არ არის განხილული კლიენტის მხარის დაპროგრამების ტექნოლოგიები როგორიცაა მაგალითად AJAX;
- კურსში „ინტერნეტ დაპროგრამება PHP“ საერთოდ არ არის განხილული ისეთი მნიშვნელოვანი საკითხები, როგორიცაა ვებ სერვისები (REST, SOAP) და ვებ გვერდების უსაფრთხოება;
- პროგრამაში წარმოდგენილია საგანი კომპიუტერის არქიტექტურა ორი ნაწილის სახით (I და II). ამათგან „კომპიუტერის არქიტექტურა I“ მთლიანად ეძღვნება თვლის სისტემებს და მასთან დაკავშირებულ ოპერაციებს, ხოლო „კომპიუტერის არქიტექტურა II“ რიგ ისეთ საკითხებს, რომელიც არაა კავშირში კომპიუტერის არქიტექტურასთან, მაშინ, როცა არაა განხილული საგნის სხვა ძირითადი საკითხები (მაგ ასემბლერი);
- პროგრამაში „ინფორმაციის მენეჯმენტი“ ასევე წარმოდგენილია ორი ნაწილის სახით - I - რომელიც MS Access წარმოადგენს და II რომელიც MS SQL-ია. საგნები შემოიფარგლებიან კონკრეტული პროგრამული ინსტრუმენტის შესწავლით, არაა განხილული უშუალოდ ინფორმაციის მენეჯმენტის კონცეპტუალური საკითხები. თუმცა პროგრამაში თავისუფალ კომპონენტთა ნუსხაში არის საგანი „მონაცემთა ბაზები“, რომელიც მოიცავს ამ საკითხებს. ლოგიკური იქნებოდა ეს საგანი გადანაცვლებულიყო ძირითად საგანთა ბლოკში, ხოლო „ინფორმაციის მენეჯმენტი I და II“ შესატყვისი სათაურის მოდიფიცირებით დაემატოს არჩევით საგანთა ბლოკს;
- გაუგებარია სასწავლო კურსის „რიცხვითი ანალიზი“ ორი სხვადასხვა ვერსია, 5 კრედიტიანი და 10 კრედიტიანი. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით მკაფიო პასუხი ვერ მივიღეთ პროგრამის ხელმძღვანელისაგან, ტექნიკურ ხარვეზზე იყო მინიშნება;

თუ უნივერსიტეტი მართლაც ახდენდა „პროგრამის შემუშავების, განვითარებისა და განხორციელების პროცესში მუდმივად ხდებოდა საერთაშორისო დარგობრივი ორგანიზაციების ACM (Association Computing Machinery) და IEEE-Computer Society ერთობლივი დოკუმენტის „Curriculum Guidelines for Undergraduate Degree Programs in Computer Science“ რეკომენდაციების გაზიარებას“, „კომპიუტერული მეცნიერების“ სასწავლო კურსების სათაურები და შიგთავსიც უნდა იყოს გაზიარებული.

რიგ სილაბუსში მითითებულია, დარგის სპეციფიკის გათვალისწინებით, მოძველებული სახელმძღვანელოები. სილაბუსში მითითებული ძირითადი სასწავლო მასალა მეტწილად დაფუძნებულია სწავლის სფეროს აქტუალურ მიღწევებზე, თუმცა ცალკეულ სილაბუსებში, დამატებით მასალად მითითებულია რუსულენოვანი ლიტერატურა.

ვინაიდან რუსული ენის ცოდნა არ მოეთხოვებათ სტუდენტებს, გაურკვეველია, როგორ შეძლებს ყველა სტუდენტი რუსულენოვანი დამატებითი ლიტერატურით სარგებლობას. სასურველია რუსულენოვანი ლიტერატურა ჩანაცვლდეს ინგლისური ლიტერატურით, რადგან ინგლისური ენის ცოდნა მოწმდება და ისწავლება პროგრამაში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- „კომპიუტერული მეცნიერება“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა
- თვითშეფასების ანგარიში
- საგანმანათლებლო პროგრამის კურსების სილაბუსები
- ინტერვიუები თვითშეფასების ჯგუფთან, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან და დამსაქმებლებთან

რეკომენდაციები:

- მოხდეს კომპიუტერის არქიტექტურის სილაბუსების შეჯერება და წარმოდგენა ერთი საგნის სახით კომპიუტერის არქიტექტურის საყოველთაოდ მიღებული კონცეპტების შესაბამისობით;
- საგანი „მონაცემთა ბაზები“ თავისუფალი კომპონენტებიდან გადანაცვლდეს სპეციალობის სავალდებულო საგნებში
- შეიცვალოს საგნების “ინფორმაციის მენეჯმენტი I და II” სათაურები შინაარსის შესაბამისად და დაემატოს არჩევით საგანთა ბლოკს.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

შეფასება

○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
--

2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება
პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამაში სტუდენტის პრაქტიკული უნარების განვითარებას ძირითადად უზრუნველყოფენ სასწავლო კურსების ფარგლებში გამოყენებული პრაქტიკული და ლაბორატორიული სამუშაოები, რომლებიც მრავლადაა წარმოდგენილი დარგობრივ დისციპლინებში. ასევე სტუდენტთა პრაქტიკული უნარების განვითარებას ემსახურება საბაკალავრო ნაშრომი, რომელიც ასევე უზრუნველყოფს საბაზისო დონეზე კვლევითი უნარების განვითარებას. არადარგობრივი საგნების სავალდებულოება და რაოდენობა სრულად უზრუნველყოფენ ზოგადი ტრანსფერული უნარების განვითარებას. უნივერსიტეტი ასევე ხელს უწყობს და უზრუნველყოფს სამეცნიერო-კვლევით პროექტებში სტუდენტების ჩართვას. ამ მიმართულებით ყოველწლიურად იმართება საფაკულტეტო და საუნივერსიტეტო სტუდენტური კონფერენცია.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ საგანმანათლებლო პროგრამა ○ სასწავლო კურსების სილაბუსები;
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

○ შეფასება ○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები
პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამის „კომპიუტერული მეცნიერებების“ სასწავლო კურსები მოიცავს თემატიკის შესაბამისი სპეციფიკის სწავლა - სწავლების მეთოდებს. არსებული სწავლების მეთოდების ერთობლიობა უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტის განსახორციელებლად გამოიყენება: ლექცია, სემინარი, პრაქტიკული, ლაბორატორიული მუშაობა, საკურსო სამუშაო/პროექტი, პრაქტიკა, დამოუკიდებელი მუშაობა, კონსულტაცია, საბაკალავრო ნაშრომზე მუშაობა. სასწავლო კურსების სილაბუსებში მოცემულია სწავლება - სწავლის მეთოდების შესაბამისი აქტივობები, მაგალითად, დისკუსია/დებატები, თანამშრომლობითი (cooperative) სწავლება; ჯგუფური (collaborative) მუშაობა, დემონსტრირება, ახსნა-განმარტება, ვერბალური ანუ ზეპირსიტყვიერება, დედუქცია, ინდუქცია, ანალიზი, სინთეზი, შემთხვევების შესწავლა (Case study), პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (PBL), წერითი მუშაობა, ქმედებაზე ორიენტირებული, ლაბორატორიული და პრაქტიკული აქტივობა და სხვა. თითოეულ სასწავლო კურსში სწავლება-სწავლის მეთოდები არის მოქნილი და ითვალისწინებს სტუდენტების ინდივიდუალურ საჭიროებებს. აღნიშნული მეთოდების სასწავლო პროცესში გამოყენების ეფექტიანობის გაზომვა ხდება სასწავლო პროცესის მონიტორინგითა და სტუდენტთა გამოკითხვის საშუალებით, რაც გასაუბრებებზე დაადასტურეს როგორც სტუდენტებმა, ასევე აკადემიურმა პერსონალმა.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ საგანმანათლებლო პროგრამა ○ საგნების სილაბუსები

○ თვითშეფასების ანგარიში ○ გასაუბრება სტუდენტებთან და აკადემიურ პერსონალთან
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.6. სტუდენტების შეფასება
სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ბსუ-ში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი, სწავლის შედეგების ადეკვატური, გამჭვირვალე და სამართლიანი შეფასების სისტემა, რომელიც ხელს უწყობს სტუდენტების აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებას და შეესაბამება განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N3 ბრძანებას. თითოეული სასწავლო კურსის შეფასების

კომპონენტები და მეთოდები ითვალისწინებს კურსის სპეციფიკას და შეესაბამება სწავლის შედეგებს. შეფასების სისტემა იძლევა საშუალებას დადგინდეს, თუ რამდენად მიაღწიეს სტუდენტებმა საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტებით გათვალისწინებულ სწავლის შედეგებს. პროგრამის თითოეულ კომპონენტში სტუდენტის სწავლის შედეგების მიღწევის დონის შეფასება შედგება შუალედური შეფასებისა და დასკვნითი გამოცდისგან. შუალედური შეფასება თავის მხრივ მოიცავს მიმდინარე აქტივობას და შუასემესტრულ გამოცდას. ამდენად შეფასების სისტემა 3 დონიანია და შედგება შუალედური გამოცდის, აქტივობის და დასკვნითი გამოცდის შეფასებებისაგან. თითოეულ დონეზე ცოდნის შეფასებისას გამოიყენება გამჭვირვალე კრიტერიუმები. შეფასების თითოეულ კომპონენტს გააჩნია მინიმალური კომპეტენციის ზღვარი, რომელიც განსაზღვრულია ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მართვის ინსტრუქციაში და ასევე გაწერილია სასწავლო კურსების სილაბუსებში. დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა სტუდენტს, რომელმაც მთლიანად შეასრულა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული წინაპირობები და შუა სემესტრულ შეფასებაში, გადალახა მინიმალური კომპეტენციის ზღვარი. ამასთან შეასრულა და დროულად ჩააბარა პროგრამით განსაზღვრული სამუშაოების მინიმუმი. თუ შუასემესტრული შეფასების და დასკვნით გამოცდაზე მიღებული შეფასების ჯამურმა ქულამ შეადგინა 41-50 (FX შეფასება - ვერ ჩააბარა), სტუდენტს უფლება აქვს იმავე სასესიო პერიოდში დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის. სტუდენტის მიერ დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასების ქულა არ ემატება დასკვნით გამოცდაზე მიღებულ შეფასების ქულას. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასება არის დასკვნითი შეფასება და აისახება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში. ცოდნის შეფასებას ახორციელებს კურსის წამყვანი პროფესორი ან შესაძლებელია განხორციელდეს ერთზე მეტი შემფასებლის მიერ, მაგალითად, სასწავლო კურსის წამყვან პროფესორთან ერთად, შეფასების პროცესში მონაწილეობა შეიძლება მიიღოს პრაქტიკული ნაწილის პედაგოგმა ან სხვა უფლებამოსილმა პირმა.

საბაკალავრო ნაშრომი ფასდება მაქსიმუმ 100 ქულით და ის ნაწილდება შემდეგ კომპონენტებზე: საბაკალავრო კომისიის წინაშე წარმოდგენილი ნაშრომის პრეზენტაცია - 40 ქულა. შუალედური შეფასებების 60 ქულა ნაწილდება ხელმძღვანელის მიერ საბაკალავრო ნაშრომის მიმდინარეობის შეფასებაზე (30 ქულა) და რეცენზენტის მიერ ნაშრომის შეფასებაზე (30 ქულა). ნაშრომის დასკვნითი შეფასება ხორციელდება კომისიის წინაშე.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა
- საგნების სილაბუსები
- თვითშეფასების ანგარიში
- გასაუბრება სტუდენტებთან და აკადემიურ პერსონალთან

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		X		

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება

სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტს აქვს საშუალება ფაკულტეტის და ბსუ-ს არსებულ მოთხოვნათა შესაბამისად სასწავლო პროცესის დაგეგმვის და სასწავლო პროცესის ეფექტიანობის ასამაღლებლად მიიღოს საჭირო ინფორმაციები, კონსულტაციები და დახმარებები, როგორც ადმინისტრაციული, აკადემიური პერსონალისაგან. ბსუ-ს კომპიუტერული მეცნიერებების პროგრამის სტუდენტს აქვს შესაძლებლობა მონაწილეობა მიიღოს საერთაშორისო მოხილვის, ღონისძიებების, კონფერენციების პროცესში, თუმცა აღსანიშნავია რომ აღნიშნული პროგრამის სტუდენტებში (მიუხედავად მათი ინფორმირებულობისა) გაცვლითი პროგრამები პოპულარობით არ სარგებლობს. სტუდენტები ერიდებიან მათში მონაწილეობის მიღებას და ხშირ შემთხვევაში მიზეზად (პირად პრობლემებთან ერთად) უცხო ენის არასათანადო დონეზე ცოდნას ასახელებენ, მიუხედავად იმისა რომ პროგრამის მიმდინარეობისას B1 და B2 დონის შესაბამის ცოდნას იღებენ.

სტუდენტები იღებენ ქმედით დახმარებას დასაქმების ძიების პროცესში. სტუდენტები აღნიშნავენ უნივერსიტეტის მხრიდან არაერთი ვაკანსიის შემოთავაზების შესახებ.

ბსუ-ში არსებობს სტუდენტთა ინფორმირების ელექტრონული სერვისები (portal.bsu.edu.ge; spm.bsu.edu.ge) , რომლებიც სტუდენტს საშუალებას აძლევს დროულად გაეცნოს შეფასების შედეგებს, კომუნიკაცია დაამყაროს სასწავლო კურსის პედაგოგთან ელექტრო შეტყობინების მეშვეობით. ნახოს აკადემიური ჯგუფების ცხრილი, პედაგოგების ცხრილი, აუდიტორიების და ლაბორატორიების დატვირთვა. აგრეთვე, სტუდენტს აქვს შესაძლებლობა მიიღოს ბსუ-ში მიმდინარე პროცესებისა და სიახლეების შესახებ ინფორმაცია. სტუდენტებს უტარდებათ გამოკითხვები, რისი საშუალებითაც მათ შეუძლიათ შეაჯამონ და შეაფასონ განვლილი სემესტრი, საგნები, ლექტორები და სწავლის მეთოდიკა. გამოთქვან საკუთარი სურვილები რაიმე ასპექტის გაუმჯობესების შესახებ. სურვილის შემთხვევაში ლექტორები სტუდენტებს ინდივიდუალურ კონსულტაციებსაც უტარებენ.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა
- საგნების სილაბუსები
- თვითშეფასების ანგარიში
- გასაუბრება სტუდენტებთან და აკადემიურ პერსონალთან
- სტუდენტური პორტალი

რეკომენდაციები:

-

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- მეტი ყურადღება დაეთმოს სტუდენტთა ინფორმირებულობას გაცვლითი

პროგრამების დადებითი მხარეების, მისი მნიშვნელობის გასაცნობად, გაიზარდოს აგიტაცია გაცვლით პროგრამებით უფრო მეტი სტუდენტის დასაინტერესებლად და მათში მონაწილეობის მისაღებად.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) - მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა
მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა; ანალიზში უნდა აისახოს პრობლემატური საკითხები (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
მტკიცებულებები/ინდიკატორები კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით
რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
შეფასება
ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	X			

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსი

- პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია;
- პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას;
- პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში;
- პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამის გამხორციელებაში ჩართული არიან როგორც დარგის ასევე სხვა მიმართულების აკადემიური და მოწვეული პერსონალი.

აკადემიური პერსონალის რაოდენობა შეადგენს 24-ს, მათგან უშუალოდ დარგის სპეციალისტია 10 (1 პროფესორი, 7 ასოცირებული პროფესორი, 2 ასისტენტი პროფესორი), რომელთაც გააჩნიათ შესაბამისი აკადემიური და სამეცნიერო გამოცდილება. აკადემიური პერსონალის კვალიფიკაცია დასტურდება ბოლო 5 წლის ნაშრომებით.

მოწვეული პერსონალი სასწავლო კურსის შესაბამისი დარგის პრაქტიკოსი ან სხვა უნივერსიტეტის პროფესორ-მკვლევარია. ამ შემთხვევაში მათი კვალიფიკაცია დასტურდება დარგობრივი სამუშაო გამოცდილებით და რიგ შემთხვევაში პუბლიკაციებითაც. მოწვეულ პერსონალს აქვს პედაგოგიური მოღვაწეობის გამოცდილებაც.

პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური პერსონალი აქტიურ მონაწილეობას იღებს საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებისა და განვითარების პროცესში.

უნივერსიტეტში მოქმედი წესების თანახმად აკადემიური პერსონალის დატვირთვაში გარდა სასწავლო პროცესში მონაწილეობისა განსაზღვრულია სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო საქმიანობაში მონაწილეობის ვალდებულება, რაც აძლიერებს პერსონალის ჩართულობას უნივერსიტეტის აკადემიურ და არაკადემიურ საქმიანობაში.

პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა, რომელიც განსაზღვრულია უნივერსიტეტში შესაბამისი წესის თანახმად, უზრუნველყოფს სასწავლო პროცესს სრულად.

პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია შესაბამისი კომპეტენცია და გამოცდილება რათა მოახდინოს სასწავლო პროგრამის შემუშავება/განახლების პროცესის წარმართვა-კოორდინირება.

მკვეთრადაა გამოხატული ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის მონაწილეობა/ხელშეწყობა სასწავლო პროგრამის განხორციელების პროცესში. მათი ფუნქციები და მოვალეობები გაწერილია სტუდენტებისათვის მაქსიმალურად კომფორტული გარემოს შესაქმნელად.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის CV;
- პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის პირადი საქმეები;
- ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის პირადი საქმეები;
- ბსუ-ს აკადემიური პერსონალის აფილირების, აკადემიური დატვირთვის განსაზღვრისა და შრომის ანაზღაურების განსაზღვრის წესი;
- ბსუ-ს აკადემიური პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის წესი.

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება

- დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს;
- უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი უნივერსიტეტს შემუშავებული და დამტკიცებული აქვს წესები, რომლებიც აღწერენ პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასების და შედეგების ანალიზის პროცედურებსა და მექანიზმებს. წარმოდგენილი მასალების შესაბამისად შეფასება ხორციელდება რეგულარულად ყოველწლიურად. უნივერსიტეტი რეგულარულად ატარებს ტრენინგებს სხვადასხვა რანგის პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით. უნივერსიტეტს ასევე გააჩნია პერსონალის პროფესიული განვითარების დაფინანსების წესი, რომლის მიხედვითაც ყოველწლიურად ბიუჯეტის დაგეგმვისას გამოიყოფა კადრების მომზადება-გადამზადებასთან, კვალიფიკაციის ამაღლებასა და სტაჟირებასთან დაკავშირებული ხარჯი. ბიუჯეტის შესაბამისად იგეგმება სხვადასხვა შინაარსის ტრენინგები აკადემიური პერსონალისა და მასწავლებლებისთვის. უნივერსიტეტის ბიუჯეტში ასევე გამოყოფილია სახსრები სამეცნიერო კონფერენციებზე მონაწილეობის მიღების მიზნით პერსონალის მივლინების დაფინანსებისათვის. სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის ხარისხის ამაღლების მიზნით, უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის სავალდებულო მოთხოვნები და მათი შეფასების შედეგების ანალიზისა და წახალისების მექანიზმები.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2017 წლის 29 ივნისის №46 დადგენილება „ბსუ-ს აკადემიური და მოწვეული პერსონალის საქმიანობის შეფასების წესის დამტკიცების შესახებ“; ○ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს #66 დადგენილება, „ბსუ-ს სამეცნიერო პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის შეფასების წესის დამტკიცების შესახებ“ ○ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2019 წლის 14 აგვისტოს №06-01/90 დადგენილება „ბსუ-ს სამეცნიერო კვლევის პოლიტიკის დამტკიცების შესახებ“;
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება

ო გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.3 მატერიალური რესურსი

პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტს გააჩნია: კეთილმოწყობილი, მრავალსართულიანი სასწავლო კორპუსები; სხვადასხვა დანიშნულების ლაბორატორიები და კომპიუტერული კლასები (ინტერნეტში და შიდა ქსელში ჩართული კომპიუტერული ტექნიკით). კომპიუტერული კლასების რაოდენობა და კლასებში არსებული კომპიუტერული ტექნიკა საკმარისია პროგრამის შეუფერხებელი განხორციელებისათვის და შეესაბამება პროგრამაში ჩართული სტუდენტების რაოდენობას.

დისტანციური ვიზიტიდან გამომდინარე, აღნიშნულ კომპიუტერულ კლასებში ვერ მოხერხდა სწავლების პროცესისთვის საჭირო პროგრამული უზრუნველყოფის არსებობის შემოწმება.

ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტს გააჩნია კეთილმოწყობილი ბიბლიოთეკა, რომელიც დაკომპლექტებულია სასწავლო-მეთოდური და სამეცნიერო ლიტერატურით, ელექტრონული სახელმძღვანელოებითა და ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდის მონაცემთა ბაზით, კომპიუტერული ტექნიკით. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ უნივერსიტეტი თანამშრომლობს Elsevier და სხვა სპეციალიზირებულ ელექტრონულ ბაზებთან თუ ბიბლიოთეკებთან, რომელზე წვდომაც აქვთ სტუდენტებს როგორც უნივერსიტეტის შენობიდან, ისევე სახლის პირობებში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დათვალიერება
- ელექტრონული ბაზები და რესურსები
- თვითშეფასების ანგარიში

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.4 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა
პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში საგანმანათლებლო პროგრამების უზრუნველყოფა ხორციელდება ერთიანი ბიუჯეტიდან. შესაბამისად, პროგრამებს ცალკე გამოყოფილი ბიუჯეტი არ აქვთ, მაგრამ წარმოდგენილი იქნა „კომპიუტერული მეცნიერება“ საბაკალავრო პროგრამის ხარჯთაღრიცხვა ზოგადი სახით, სადაც გაწერილია პროგრამის სავარაუდო შემოსავლები, პროფესორის ხელფასები და ზედნადები ხარჯები. ამ დოკუმენტში არ არის მოცემული აკადემიური პერსონალის მივლინებებისათვის გამოყოფილი თანხები. პროგრამის შემდგომი განვითარებისათვის სასურველია დაზუსტდეს საზღვარგარეთ მივლინებების დაფინანსების კომპონენტი და წახალისდეს აკადემიური პერსონალი საზღვარგარეთ საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებებში მონაწილეობისათვის.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ „კომპიუტერული მეცნიერება“ პროგრამის ბიუჯეტი

○ ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიუჯეტი ○ თვითშეფასების ანგარიში ○ ინტერვიუები ადმინისტრაციასთან, აკადემიურ პერსონალთან და თვითშეფასების ჯგუფთან
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	X			

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის სამსახურებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1 შიდა ხარისხის შეფასება

პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან/პერსონალთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს რიგი დებულებები, რომლებიც ახდენენ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის საქმიანობის რეგულირებას. არსებული დებულებების თანახმად პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში პირდაპირი ან/და ირიბი გზით მონაწილეობენ პროგრამაში ჩართული ყველა პერსონალი (თუნდაც, როგორც გამოკითხვის რესპოდენტი). გამოკითხვები ყოველწლიურია და მოიცავს ფართო სპექტრს.

დოკუმენტში “ბსუ-ს აკადემიური უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, შეფასებისა და განვითარების უზრუნველყოფის წესი” აღწერილია პროცედურები, რომელიც ატარებს ზოგად ხასიათს (მუხლი 4.) და არაა მკაფიოდ ჩამოყალიბებული უშუალოდ პროგრამაში ჩართული პერსონალის კონკრეტული ქმედებები/პროცედურები **სწავლის შედეგების მიღწევადობის** შეფასებებში (აკადემიური მოსწრების შეფასება არ გულისხმობს სწავლის შედეგების მიღწევადობის შეფასებას). არაა განსაზღვრული როგორ უნდა მოხდეს თითოეულ საგანში **სწავლის შედეგების მიღწევადობის სამიზნე ნიშნულის** განსაზღვრა, მისი შეფასება და **პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევადობის სამიზნე ნიშნულებში** მისი წილის განსაზღვრა. ასევე არაა აღწერილი თუ როგორ უნდა მოხდეს შეფასების შედეგების გამოყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2019 წლის 14 აგვისტოს №06-01/91 დადგენილება „ბსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დამტკიცების შესახებ“;
- ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2017 წლის 15 ივნისის №37 დადგენილება „ბსუ-ს აკადემიური უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, შეფასებისა და განვითარების უზრუნველყოფის წესის დამტკიცების შესახებ“;

რეკომენდაციები:

- შემუშავდეს პროგრამაში ჩართული პერსონალის ხარისხის შეფასების პროცესში მონაწილეობის პროცედურა/წესი - როგორ, რითი და რა სიხშირით განსაზღვრავს სწავლის შედეგის მიღწევადობას კონკრეტულ საგანში, რის საფუძველზე გეგმავს ცვლილებებს, როგორ ახდენს ცვლილებების ინიცირებას და ა.შ.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.2 გარე ხარისხის შეფასება

პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, დგინდება, რომ უნივერსიტეტში მოქმედი გარე ხარისხის შეფასების მექანიზმი ეფუძნება „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულებას“, „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებას“ და „აკრედიტაციის სახელმძღვანელოს“. თვითშეფასების წლიური ანგარიში წარედგინება სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს შესაბამისი ვადებისა და წარდგენის ფორმების დაცვით.

„საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება №1106-ში, საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების შესახებ“ (https://bsu.edu.ge/text_files/ge_file_749_1.pdf), ვკითხულობთ, რომ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური „უნივერსიტეტში სწავლების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით უზრუნველყოფს შეფასების შიდა და გარე პროცედურებს“, ხოლო „საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულება“-ში

(https://bsu.edu.ge/text_files/ge_file_5450_1.pdf) ვკითხულობთ, რომ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ფუნქციებია: „უნივერსიტეტში სწავლების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით შეფასების შიდა და გარე პროცედურების უზრუნველყოფა, ხარისხის უზრუნველყოფის საუნივერსიტეტო პოლიტიკის, მექანიზმებისა და პროცედურების განსაზღვრა“; გარე შეფასების ფარგლებში ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური რეგულარულად აწარმოებს დამსაქმებელთა კვლევას და კურსდამთავრებულთა კვლევას (https://bsu.edu.ge/sub-27/page/2-62/index.html). პროგრამის ხელმძღვანელისა და პროგრამის შემუშავებაში ჩართული პერსონალის მიერ ხდება, შეფასების შედეგად მიღებული შედეგების გაანალიზება და პროგრამის განვითარების შემდგომ პროცესში გათვალისწინება.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ ბსუ ვებგვერდი, https://bsu.edu.ge/sub-27/page/2-62/index.html ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კვლევები; ○ კურსდამთავრებულთა კვლევა; ○ დამსაქმებელთა კვლევა; ○ დამსაქმებელთა გამოკითხვის ანალიზი ○ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის დროს ჩატარებული ინტერვიუები.
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება

პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

უნივერსიტეტში მოქმედი წესების შესაბამისად პროგრამის მონიტორინგი მოიცავს სხვადასხვა აქტივობებს, რომელიც ყოველწლიურად ხორციელდება:

- უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ახდენს მეცადინეობებზე დასწრებას, სასწავლო და საგამოცდო მასალების შეფასებას, გამოცდების მონიტორინგს და შედეგების ანალიზს;
- სასწავლო პროცესის შეფასების მიზნით ტარდება სტუდენტთა გამოკითხვები;
- ტარდება კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა გამოკითხვა.

მიღებული შედეგების ანალიზის საფუძველზე იგეგმება და ხორციელდება (აუცილებლობის შემთხვევაში) ცვლილებები როგორც უშუალოდ სასწავლო პროგრამაში შენაარსობრივად, ასევე მის განხორციელებასთან დაკავშირებულ სხვადასხვა მიმართულებაში (ინფრასტრუქტურა, ადმინისტრირება და სხვ.).

მიუხედავად იმისა, რომ მონიტორინგი რეგულარულ ხასიათს ატარებს, ბუნდოვანია სწავლის შედეგების შეფასების სრულყოფილი მექანიზმის არ არსებობის შემთხვევაში როგორ ხდება მონიტორინგის შედეგების ანალიზი და რას დარდება მიღებული შედეგები.

უნივერსიტეტს უნდა გააჩნდეს მკაფიოდ გაწერილი პროცედურები, რომლებიც სწავლის შედეგების შეფასებაში მონიტორინგის შედეგების გათვალისწინების მექანიზმს ასახავს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2019 წლის 14 აგვისტოს №06-01/91 დადგენილება „ბსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დამტკიცების შესახებ“;
- სტუდენტთა გამოკითხვები
- ბსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კვლევები საგანმანათლებლო პროგრამებში ცვლილებების შეტანის თაობაზე ბსუ-ს აკადემიური საბჭოს დადგენილებები
- ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2017 წლის 15 ივნისის №37 დადგენილება „ბსუ-ს აკადემიური უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, შეფასებისა და განვითარების უზრუნველყოფის წესის დამტკიცების შესახებ“.

რეკომენდაციები:

◦ შემუშავდეს სწავლის შედეგების შეფასებაში მონიტორინგის შედეგების გათვალისწინების მექანიზმი
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ◦ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ◦ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები		X		

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში)

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება:

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება, საფეხური:


დასკვნის გვერდების რაოდენობა: 38

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა		X		
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		X		
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	X			
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	X			
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები		X		

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის


მანანა ხაჩიძე



აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრ(ებ)ის

მიხეილ რუხაია

მარინე ხიზანიშვილი



ბაქარ დუაძე

